ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 იანვარი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 12 (10 181) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1990 — ცხენის წელიწადი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოს“ წარმატება

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, ამჟამად უცხოეთში იმყოფებიან და წინასასეზონო მზადების პროგრამით საერთაშორისო მატჩებს მართავენ.

პირველი შეხვედრა დინამოელებს საფრანგეთის III დივიზიონის კლუბ „როდეზთან“ ჰქონდათ და თამაში ფრედ დაამთავრა — 1:1. დინამოელთაგან ბურთი ცაავამ გაიტანა.

16 ნოემბერს თბილისის „დინამო“ პარიზში შეხვდა ალჟირის ნაკრებს. თავდაპირველად დაწინაურდნენ ალჟირელები, მაგრამ შემდეგ ქეცბაიამ საპასუხო ბურთი გაიტანა, ხოლო ჭედიამ თბილისელებს გამარჯვება მოუტანა — 2:1.

ნაკრები იწყებს მზადებას

იტალიის ქალაქ პიზადან ერთი საათის სავალზე, დაბა ჩოკოს სპორტულ ბაზაზე დაიდებს ბინას სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატ-90-ის ფინალური ეტაპის დღეებში. მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელები მას უფრო ადრე გაიცნობენ: 31 იანვარს ჩვენი გუნდი გაფრინდება იტალიას, სადაც დაიწყებს მზადებას ამ მნიშვნელოვანი ასპარეზობისათვის.

ასეთი განცხადებით დაიწყო ოთხშაბათს ახალი ამბების საagენტოში პრესკონფერენცია ნაკრების უფროსმა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. სიმონიანმა და აღნიშნა, რომ სასტარტო შეკრებაზე მწვრთნელები მოიწვევენ 24 ფეხბურთელს. „თითოეულ მათგანს, — თქვა მან, — 3-4 მატჩში გამოსვლის საშუალება ექნება ადგილობრივ გუნდებთან. ჩვენს მეტოქეთა შორის, შესაძლოა, იყოს ჩემპიონატის ლიდერი. „ნაპოლი“.

მოთამაშეთა შორის, ამჯერად, არ იქნებიან ჩვენი „უცხოელები“ ბოროდიუკის გარდა, რომელიც გფრ-ის „შალკე-04“-ში თამაშობს.

იტალიიდან 18 თებერვალს გუნდი ჩავა ლოს-ანჯელესში, სადაც 20-22-მდე გამოვა ტურნირში კოლუმბიის, კოსტა-რიკისა და მექსიკის ერთ-ერთი საკლუბო გუნდის მონაწილეობით.

შემდეგ გველის შეხვედრები ჰოლანდიელებთან (ალბათ, კიევში) 28 მარტს, 25 აპრილს კი დუბლინში ირლანდიელებთან და მაისში გფრ-ის „შალკე-04“-თან. 28 მაისს თელ-ავივში ისრაელის გუნდს უნდა ვეთამაშოთ. 2-4 ივნისს კი ჩავალთ იტალიაში.

ალბათ, აღარავის უკვირს, რომ ჟურნალ-გაზეთები სულ უფრო ხშირად ათავსებენ თავიანთ ფურცლებზე ილუსტრაციებს ცხენის თემაზე. 1990 წელი ხომ ცხენის წელიწადია...

ამ დღეებში კი პარიზის სალონში ეგზოტიკური საცხენოსნო გამოფენაც გაიმართა.

ასპარეზობა „პარიზის პრიზზე“, რომელშიც მონაწილეობდა 150 არაბული ჯიშის ცხენი, სილამაზის თავისებური მსოფლიო ჩემპიონატი გახლდათ. „არაბთა“ კონკურსთან ერთად გაიმართა დიდი შოუ პატარა ცხენების—შოტლანდიური პონების მონაწილეობით.

სპორტულ პროგრამაში კი ცხენოსნობის ვარსკვლავებმა თავიანთი ოსტატობით მოხიბლეს მაყურებელი.

დამთვალიერებლებმა ნახეს, აგრეთვე, გამოფენილი საცხენოსნო აღჭურვილობა სათანადო ატრიბუტიკითა და ლიტერატურით.

პარიზის საცხენოსნო სალონს დიდი მოწონება ხვდა. ცხრა დღის განმავლობაში იგი ასი ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

საქართველოში ოდითგანვე პატივს სცემდნენ ამ ოთხფეხა მეგობარს და იქნებ ჩვენც გვეფიქრა ცხენის წელიწადის საზეიმო აღნიშვნაზე?

ხურათებზე: ფრაგმენტები „კლასიკური“ ცხენოსნობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილავთ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს.

რამდენიმე მოსაზრება პროექტის ირგვლივ

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შემდგომი გაჯანსაღების, ყოველმხრივი ფიზიკური მომზადებისა და სპორტული დაოსტატების კონცეფციის პროექტის განხილვა სერიოზული საკითხია, ანალიზს დრო სჭირდება. იქნებ, ამიტომაც ჯერჯერობით ამ საკითხზე „ლელოში“ სულ რამდენიმე მოსაზრება გამოქვეყნდა. ან იქნებ სხვათა დუმილი განაპირობა იმანაც, რომ კონცეფციის პროექტი თურმე „საგაზეთო ვარიანტი“ ყოფილა. როგორ გავიგოთ, არსებობს პროექტის საჟურნალო ვარიანტიც? რა განსხვავებაა მათ შორის? იქნებ ამ კითხვის ნიშნის გამოცაა, რომ ფიზკულტურის მუშაკები, მასწავლებლები და მწვრთნელებიც იმ მეორე „საიდუმლო“ ვარიანტის გამოქვეყნებას ელიან.

ახლა კი ჩემს მოსაზრებებს გაგიზიარებთ. შენიშვნები უნდა დავიწყო სათაურიდან: „რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტი“. ჩემი აზრით „სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა“ არ არსებობს. სპორტში ახალგაზრდა უკვე ჯანსაღი მიდის. სპორტში ხდება არა გაჯანსაღება, არამედ მისი შემდგომი განმტკიცება და ფიზიკური მომზადება, შერჩეულ სახეობაში დაოსტატება. ამიტომ პროექტის სათაური ასე უნდა დაზუსტდეს: „რესპუბლიკაში მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტი“.

ახლა, პროექტის „ძირითად მიმართულებებზე“. მას უნდა დაემატოს ერთი პუნქტიც: „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხურ-ეროვნულ საშუალებათა პრობლემა“. ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც პრობლემისადმი მკვლევარის „კუთხური“ მიდგომა. მხედველობაში მაქვს ის, რომ „საშუალებების“ პრობლემა აღზრდის ნებისმიერ დარგში ერთ-ერთი წამყვანია. საშუალებათა შერჩევასა და პედაგოგიურად სწორ, მათ შორის დოზირებულ გამოყენებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ისინი ხომ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანებიდან გამომდინარეობენ. თუ საშუალებები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (კლიმატური, გეოგრაფიული, ეთნიკური, შრომითი საქმიანობა, ტრადიცია და სხვ.) სწორად არ იქნება შერჩეული და სპეციალური დოზირებით ჩატარებული, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

შემდეგი საკითხი სასკოლო ფიზიკური აღზრდის პრობლემაა. პირდაპირ აღტაცებული ვარ! პროექტში საკითხი დგას არა კვირაში 6 გაკვეთილის შემოღებაზე, რომელზედაც ჩვენ ვოცნებობთ და მოვითხოვთ კიდეც, არამედ კვირაში 8 გაკვეთილის შემოღებაზე. თამამი

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა პირველი ლიგისკენ

20 და 21 იანვარს თბილისში, ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ჩატარდება საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადასასვლელი მატჩები საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და აზერბაიჯანის კალათბურთელთა გუნდებს შორის (შეხვედრების დასაწყისი 15 საათზე).

ამ ინფორმაციას მცირედი ექსკურსი და უფრო დეტალური განმარტება სჭირდება. საქმე ის გახლავთ, რომ პირველ ლიგაში თამაში საქართველოს გუნდების დიდი ხნის ოცნებაა. ახლა ამ ოცნებას რეალურად შეიძლება ფრთები შეესხას, თუმცა საბოლოო შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია და აი, რატომ.

პირველ ლიგაში გადასასვლელი ტურნირი, თავისთავად, მრავალეტაპიანი შეჯიბრებაა და იგი გარკვეული სირთულეების გადალახვას მოითხოვს. დავიწყოთ იმით, რომ შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივები რვა ზონად არიან დაყოფილნი და ბრძოლის გაგრძელების უფლებას მხოლოდ გამარჯვებულები მიიღებენ. ე. ი. საჭიროა ზონალურ გათამაშებაში უსათუოდ პირველ ადგილზე გასვლა.

შემდეგ, ზონებში გამარჯვებული რვა უძლიერესი გუნდი იასპარეზებს ოთხ სხვადასხვა ქალაქში ტურრბრივი სისტემით. და მხოლოდ ამის შემდეგ, ოთხი საუკეთესო კოლექტივი მოიპოვებს პირველ ლიგაში თამაშის უფლებას.

პირველ ეტაპზე ჩვენმა კალათბურთელებმა, როგორც უკვე ვთქვით, ბაქოს გუნდთან უნდა გაარკვიონ ურთიერთობა. თბილისში ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ, მეტოქეები აზერბაიჯანის დედაქალაქში ითამაშებენ 10 და 11 თებერვალს. თუ ამ ოთხმა შეხვედრამ ვერ გამოავლინა უძლიერესი, ფინალური ასპარეზობის მონაწილეს დაასახელებს გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო შეფარდება.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა, როგორც მოგეხსენებათ, წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატი მოიგო და ამიტომაც გახდა იგი საბაზო გუნდი. ახლა მას დაემატებიან უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუკეთესო კალათბურთელები და ამ გზით, ფაქტიურად შეიქმნება ახალი გუნდი, რომელიც დაიწყებს კიდეც პირველ ლიგაში გადასვლისთვის ბრძოლას. გუნდს, რომელსაც შემდგომში, ცხადია, შეეცვლება სახელი, წვრთნიან ბესიკ ლიპარტელიანი და თეიმურაზ აბულაძე.

როგორც ვიუწყებოდით, ვილნიუსში ჩატარდა ცბაბუკ კალათბურთელთა საკავშირო პირველობის მეორე ეტაპი (1974-1975 წწ დაბადებულთა შორის). ამ ტურნირში ასპარეზობდნენ ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, უზბეთის, რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და უკრაინის (ორი) გუნდები. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეხამე გადამწყვეტი ეტაპის წინ (ჩატარდება მარტში, ბელორუსიაში) ტურნირს საქართველოს კალათბურთელები ლიდერობენ.

სურათზე: მეორე ეტაპის გათამაშებაში გამარჯვებული საქართველოს გუნდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

რამდენიმე მოსაზრება პროექტის ირგვლივ

(დასასრული)

მოთხოვნაა, მაგრამ უამისოდ სასურველი შედეგის იმედი არ უნდა გვქონდეს. მხოლოდ ასეთ პირობებში შევძლებთ მკვეთრად ავამაღლოთ მოსწავლეთა ჯანმრთელობა, ფიზიკური მომზადების დონე...

რაც შეეხება სპორტს (მას ზშირად ურევენ ფიზიკურ კულტურასთან), ზოგი თვლის, თითქოს მთელი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სპორტს განეკუთვნება. ამ ბოლო დროს რატომღაც გავრცელდა ლოზუნგი: „სპორტი ყველასათვის". მაგრამ სპორტი ხომ ფიზიკური აღზრდის ისეთი საშუალებაა, რომელიც უშუალოდ შეჯიბრებებთანაა დაკავშირებული (დაწვრილებით, იხ. „სასკოლო ფიზიკური აღზრდის ზოგიერთი პრობლემა". „ცოდნა", 1989 წ.). არ არის სწორი, როცა ფიზიკური აღზრდის ნებისმიერ სახეობას სპორტად ვნათლავთ და მასში შეჯიბრებების მოწყობასაც ვცდილობთ, მაგრამ ხომ არის ისეთი საშუალებები, რომლებიც ოფიციალური შეჯიბრების გარეშე ვითარდება. მაგალითად, საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის", რომლის მთავარი დანიშნულება ახალგაზრდის ფიზიკურად მომზადება და საამისო ნორმების ჩაბარებაა. რატომღაც აიღეს და ისიც სპორტის სახეობად (თუმცა ხელოვნურ) აქცეს. რატომ უნდა გახდეს ფიზიკური აღზრდის საშუალება აუცილებლად სპორტის სახეობა? ხომ ცნობილია, რომ სპორტის სახეობაში გადაიზრდება მხოლოდ განსაკუთრებული სახეობები თავისი ორიგინალობით, პოპულარობითა და გამოყენებითი თვალსაზრისით. ახლა შემოიღეს ე. წ. „ოჯახური სპარტაკიადები". განა ყველაფერი შეჯიბრებაში უნდა გადაიზარდოს? ხომ არის და საკმაოდ დიდი რაოდენობაც ხალხისა, რომელთაც არ აქვთ არც სურვილი და არც მიდრეკილება, რომ მაინც და მაინც სპორტის კონკრეტულ სახეობას მისდევდნენ. სულ სხვაა, თუ ახალგაზრდას აღმოაჩნდა ნიჭი ამა თუ იმ სახეობისადმი. მაშინ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ იგი სპორტისათვის არ დაიკარგოს.

სპორტისადმი ასეთი „ყურადღება" იოლი ასახსნელია. დიდი ხანია, გამომუშავდა სტერეოტიპი — „ჩვენს დარგში შეჯიბრების გარეშე არაფერი არ არსებობს". სკკპ ცკ-ის და მინისტრთა საბჭოს 1981 წლის დადგენილებაში მითითებულია, რომ ყველაფერი შეჯიბრებამდე არ უნდა იყოს დაყვანილი. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ დიდი სპორტი ხელვყოთ. პირიქით, ჩვენ მოვალენი ვართ დღენიადაგ ვიზრუნოთ მისი სამომავლო სარბიელის, მისი მკვებავი ბაზის გაზრდისათვის. სპორტში დიდი მიღწევის დაკარგვის უფლება არა გვაქვს. ამიტომ სწორედ უნდა შევახამოთ მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი „დიდ სპორტთან". კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი სპორტი ერთეულების, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრია.

უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ, როდესაც საუბარი გვაქვს ფიზიკური აღზრდის პროგრამებში „ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ელემენტების დანერგვაზე". ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ამ ბოლო დროს მოძრავი თამაშებისა და სპორტის განვითარების დროს „ფიზიკურ ვარჯიშებს" ივიწყებენ და ეს მაშინ, როცა ისინი, თამაშებთან ერთად, ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებებს შეადგენენ.

უნდა დაზუსტდეს ქვეთავი — „სპორტის ეროვნული სახეობები". აქ მე-2 პუნქტში ლაპარაკია ყველა რაიონში სპორტის ეროვნულ სახეობათა ცენტრების შექმნაზე. ამდენი „ცენტრების" სასწრაფოდ შექმნამ შესაძლოა ყველაფერი მთლად არიოს. ხომ არის რაიონებში კომიტეტები, ახლა ჩამოყალიბდება ფედერაციები. დარჩება კი საქმე ცენტრისათვის, როცა მთავარი ყურადღება რეგიონში ტრადიციული სახეობების განვითარებას უნდა მიექცეს? აბა, წარმოიდგინეთ, თიანეთის, ახმეტის, ან რომელიმე სხვა რაიონში შევქმნათ ცენტრი, რომელიც ყველა ხალხურ სახეობას დანერგავს და განავითარებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რაიონში 20-30 კლასიკურ სახეობათა დანერგვა-განვითარება აუცილებელია. ძველი სურათი ხომ არ განმეორდება? კლასიკური სახეობები დაწინაურდება და ხალხური ისევ ჩრდილში დარჩება. ამიტომ რაიონი უნდა ეცადოს კონკრეტულად, პირველ ყოვლისა, ტრადიციული სახეობები განავითაროს.

ვიცი, რომ ამჟამად მუშავდება ხალხურ-ეროვნულ სახეობათა კონცეფციის პროექტი. აი, იქ ყოველგვარი ცენტრის გარეშე მოცემული იქნება კონკრეტულად რომელმა რაიონმა რა სახეობები უნდა დანერგოს და განავითაროს. ამასთან, დროა ხალხურმა სახეობებმა რესპუბლიკაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს და სწორად შეერწყას ფიზიკური აღზრდის ოფიციალური პროგრამებით გათვალისწინებულ საშუალებებს.

ჩვენი აზრით, თავის დროზე შეცდომა დაუშვეს, როცა სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე" გაუქმდა. და ეს მაშინ, როცა იგი კარგად იყო ორგანიზებული და ერთერთ წამყვან სპორტულ საზოგადოებად ითვლებოდა.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სოფლად რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია სასოფლო სპორტული საზოგადოების აღდგენა, რათა მან სოფლად ღასაქმებული ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტი ხალისი შეიტანოს.

სერიოზული პრეტენზიები გვაქვს ქვეთავების: „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერული უზრუნველყოფა" და „ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა". ამ ორი დარგის უგულებელყოფის შემთხვევაში ყოველგვარი კონცეფცია კონცეფციად დარჩება. ამიტომ რადიკალურად უნდა გარდაიქმნას ჩვენი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობა. ვერ დავუცდით იმას, ამა თუ იმ საკითხს როდის დაამუშავებენ სხვა რესპუბლიკების ანალოგიური ინსტიტუტები, რათა იქიდან ვისარგებლოთ. როგორც არასდროს, სწორედ დღეს გვჭირდება ორიგინალური მეცნიერული აზრი.

მაგრამ მეცნიერული აზრის განვითარებას საჯაროობა სჭირდება. აბა, ვნახოთ, როგორი მდგომარეობაა ამ დარგში. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთელ სისტემას საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში დათმობილი აქვს ერთადერთი, 10-თაბახიანი კრებული, რომელიც წელიწადში ერთხელ გამოდის. გვაქვს კიდევ ბევრი მეთოდკაბინეტი, მათ შორის ამავე ინსტიტუტის კათედრების მეთოდკაბინეტები, რომლებიც იშვიათად უშვებენ სხვადასხვა ბროშურებს, მეთოდურ ლიტერატურას და ა. შ.

ცალკე აღნიშნის ღირსია სპორტსახკომის მეთოდკაბინეტი, რომელიც მართლაც დიდ საქმეს აკეთებს იმით, რომ ქართულ ენაზე უშვებს (თუმცა მცირე ტირაჟით) მეთოდურ ლიტერატურას, პროექტში კი გათვალისწინებულია მრავალი ლექსიკონის, ტერმინოლოგიის, სახელმძღვანელოს და... ენციკლოპედიის გამოცემაც კი. მაგრამ პრაქტიკულად ვინ უნდა შეასრულოს ეს შრომატევადი საქმე? დაწესებულებებზე გაპიროვნება არ კმარა. ჩვენ გასაკეთებელ საქმეს სხვა არ გააკეთებს. ახლა დადგა დრო, დაისვას სპეციალური გამომცემლობის შექმნის საკითხი. ამიტომ, ალბათ, საჭიროა გაერთიანდეს სხვადასხვა დაწესებულებებში გაბნეული მცირე გამომცემლობები. გამოცემათა საქმის უნარიანად წარმართვის შემთხვევაში, იგი შეძლებს თავის შენახვასა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის დარგში ჩვენს მოთხოვნათა დაკმაყოფილებასაც.

ჩემი აზრით, უნდა გაიზარდოს „ლელოს" ფორმატიც. უნდა დავაყენოთ სამეცნიერო-პოპულარული რესპუბლიკური ჟურნალის გამოცემის საკითხი. სამეცნიერო შრომამ მზის სინათლე ოპერატიულად თუ არ ნახა და სადღაც თაროზე მტვრის ფენა დაედო, ფუჭად დაიხარჯება ჩვენი სახსრები და ენერგია, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება კი ინერტული გახდება.

ქვეთავში „უმაღლეს სასწავლებლებში" ყველაფერზეა ლაპარაკი და საქმიანადაც, მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარზე — უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრების სამეცნიერო მუშაობაზე — ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. და ეს მაშინ, როცა ჩვენი პედაგოგთა საუკეთესო ძალები უმაღლეს სასწავლებლებშია თავმოყრილი.

ამასთან, საჭიროა ყველა უმაღლეს სასწავლებელში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრების საქმიანობაში დიდი ყურადღება დაეთმოს არა მარტო „სპორტის ეროვნულ სახეობებს", არამედ ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების ხალხურ საშუალებებსაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ ხდება სხვადასხვა რეგიონის (და ქვეყნებისაც) ახალგაზრდების თავშეყრა. ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და გაცვლაში.

ვასილ ელაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სეოკ-ის ანგარიშზე.

ფელეტონი - ეკიმენელი



ათენი. ლენინგრადის „ავტომობილისტის" ფრენბურთელებმა საბერძნეთის დედაქალაქში მოუგეს საპასუხო ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „პანათინაიკოსს" (3:2) და ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა პირველი ნახევარფინალური მატჩიც ლენინგრადში — 3:0.

მოსკოვი. განახლდა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ადგილობრივმა არმიელებმა შინ მოულოდნელი მარცხი განიცადეს რიგის „დინამოსთან" — 2:3 (2:0, 0:2, 0:1).

თვალსაზრისი

ბანაკი დაუავდება...

ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი ბატონ აკაკი ბაქრაძის მიერ გონივრულად დასაბუთებული მოსაზრება თბილისის განტვირთვასთან დაკავშირებით. ცნობილია ის არანორმალური ვითარება, რომელსაც ქმნის საწარმოო, სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული და სხვა ობიექტების, აგრეთვე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თავმოყრა დედაქალაქში.

თავკომბალა რესპუბლიკა მხოლოდ ფორმისმიერი დახასიათებაა ჩვენი ქვეყნისა, რადგან თავკომბალა არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზმი სუსტი ან სნეულია.

ბატონი აკაკის მოსაზრებას ფართო რეზონანსი აქვს საზოგადოებრიობაში. არის არაერთი წინადადება იმის თაობაზე, თუ რა სახის ობიექტები და რა პრინციპებით უნდა იქნას დადაწილებული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. მინდა შევეხო ერთ საკითხს, რომელიც ჯერ არ დასმულა და რომელიც, ჩემი აზრით, დიდად შეუწყობს ხელს თბილისის განტვირთვის გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას.

საქმე ეხება სპორტული ორგანიზაციების, კლუბებისა და ცენტრების გეგმაზომიერ, ყოველმხრივ აწონ-დაწონილ გადანაწილებას რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში.

მოგეხსენებათ, თითქმის ყველა სპორტული ფედერაცია თბილისშია თავმოყრილი, აქვე ბინადრობს სპორტის სხვადასხვა სახეობის თითქმის ყველა უძლიერესი გუნდი თუ კლუბი, რომელთა უმრავლესობაც, ფაქტობრივად, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს წარმოადგენს. ასევე თბილისშია განლაგებული რესპუბლიკაში საუკეთესო სპორტული ბაზები. ერთი სიტყვით, თბილისი სპორტის თითქმის ყველა სახეობის განვითარების ცენტრია.

დარწმუნებული ვარ, ამ მიზეზით ჩვენი რეალური შესაძლებლობები შეზღუდულია, ვითარების რადიკალური შეცვლა ანუ განთესვის გეგმის განხორციელება, ვფიქრობ, მხოლოდ და მხოლოდ წარმატებების, გამარჯვებების ზრდას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს ყველა კუთხეს ეყოლება თავისი წამყვანი გუნდი ან სპორტის ინდივიდუალური სახეობების წარმომადგენელი, რაც საშუალებას მისცემს ამ კუთხეების მოსახლეობას უშუალო კონტაქტი იქონიონ მათთან (გულშემატკივრისთვის ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკუთარი ქვეყნის, სამშობლოს ღირსების დამცველებთან ურთიერთობას). გავიხსენოთ ისიც, რომ მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი უინტერესო, წინასწარ დაგეგმილი, მოულოდნელობების და, ამდენად, ემოციების გარეშე (ადამიანი ემოციების გარეშე?!) ყოფაა, ხოლო სპორტული ასპარეზობა ცხოვრების ის ნაწილია, რომელიც არ იგეგმება, ორი პაექრობა ერთმანეთს არ ჰგავს. ნუ დაგვავიწყდება კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მომენტი: ჩემი თანამემამულე მსოფლიო ჩემპიონი ხომ მეამაყება და მეამაყება, ჩემი თანაქალაქელი კი ათმაგად, ხოლო, ჩემი მეზობელი ან მეგობარი კი ასმაგად მეამაყება!

ჩემი მოსაზრების სასარგებლოდ მინდა მოვიტანო ქუთაისის მორაგბეთა გუნდის მაგალითი, რომელმაც ქართული სპორტის ისტორიაში უპრეცედენტო შედეგებს მიაღწია უკანასკნელი წლების განმავლობაში.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ უძლიერესი გუნდების და საუკეთესო სპორტსმენების დედაქალაქში თავმოყრას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ, ყოფილი მორაგბე, მაგრამ ოდნავადაც არ ვთვლი თავს შეურაცხყოფილად, როცა ქუთაისის გუნდი უკეთეს ადგილს იკავებს საკავშირო ჩემპიონატში, ვიდრე თბილისისა (რომლის გულშემატკივარიც გახლავართ) და არავითარ შემთხვევაში არ მივესალმები ჩემი საყვარელი გუნდის გაძლიერების მიზნით ქუთაისელი მორაგბეების იძულებით გადმოყვანას (იგულისხმება მაცდუნებელი წინადადებები) დედაქალაქში, მაშინაც კი, თუ ეს ვოიაჟი ჩემპიონობის გარანტიას იძლევა.

ჩემი მოსაზრების სასარგებლოდ მინდა მოვიშველიო ლიტვის მაგალითი (ასეთი მაგალითები საზღვარგარეთის ქვეყნებში უამრავია): ლიტვის ყველაზე ძლიერი და პოპულარული გუნდი სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობაში (კუნასის „ჟალგირისი", კალათბურთი) არ არის ამ ქვეყნის დედაქალაქის წარმომადგენელი.

განა უფრო უპრიანი არ იქნება, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდმა, ვთქვათ, გორში დაიდოს ბინა და გორშივე გადავიდეს შესაბამისი ფედერაცია? განა რა დაშავდება იმით, საკავშირო პირველობის მონაწილე ხელბურთელთა ან ფრენბურთელთა გუნდმა რუსთავში რომ გადაინაცვლოს? ამგვარმა ნაბიჯმა იქნებ მათი ისეთი აღზევება გამოიწვიოს, რუსთავის თეატრს რომ ჰქონდა ერთ დროს. რატომ არ შეიძლება, ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის ცენტრებად კახეთისა და ქართლის რაიონები იქცნენ, საწყლისნო სპორტის ცენტრებად კი ბათუმი, სოხუმი, ფოთი...

თუ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება დაინტერესებთ სპორტის მესვეურებსა და მოყვარულებს, ერთ წინადადებას შემოგთავაზებთ: საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც გამოწვლილვით შეისწავლის დღევანდელ ვითარებას ქართულ სპორტში, შეაჯერებს საზოგადოებრივ აზრს და ამის საფუძველზე შეიმუშავებს გეგმის პროექტს საკითხის პრაქტიკულად განსახორციელებლად.

როგორც ჩანს, ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან დღეს სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების, როგორც უმაღლესი რანგის ასპარეზობათა, გამართვის აუცილებლობა და საერთაშორისო სარბიელზე ეროვნული ნაკრები გუნდებით გასვლა. ამ უთუოდ საგულისხმო და სპორტის გულშემატკივართათვის სანატრელი მიზნის მიღწევა სწორედ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ ჩვენი სპორტული პოტენციალი მთლიანად თბილისში კი არ მოიყრის თავს, არამედ განაწილდება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში და, ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით, სპორტის განვითარებას შესაფერისი ყურადღება მიექცევა.

გიორგი კოპაძიძე.

ესეც თუ მასპინძლობაა!

ზშირად მოგვისმენია, რომ ჩვენს გუნდებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცუდად ხვდებიან. ყველაზე სამწუხარო ის არის, როდესაც შეჯიბრების ორგანიზატორებმა იციან, რომ მონაწილეები ბავშვები არიან და მაინც, მათ მიმართ არავითარ ყურადღებას არ იჩენენ.

ზამთრის არდადეგების პერიოდში ვოლგოგრადი მასპინძლობდა მოსწავლე გოგონათა საკავშირო პირველობის ზონალურ ტურს ხელბურთში. ჩვენს სპორტსმენებთან ერთად (თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელები), მოსკოვის, რსფსრ-ს (ვოლგოგრადის), აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და სომხეთის გუნდები ასპარეზობდნენ.

ტურნირის დამთავრების შემდეგ შევხვდით ხელბურთის სკოლის დირექტორსა და მწვრთნელს ზაზა დოლიძეს და ვთხოვეთ მოეთხრო ასპარეზობის შესახებ.

— ვოლგოგრადში ჩავფრინდით ღამის სამ საათზე, არც ავტობუსი და არც ადგილობრივი წარმომადგენელი იქ არ დაგვხვდა. როგორც იქნა დავბინავდით, მაგრამ კვების პრობლემამ მწვავედ შეგვაწუხა, ჩვენი ფულით ვყიდულობდით და ისე ვკვებავდით ბავშვებს. საასპარეზო დარბაზიც არასტანდარტული იყო, ამასთან შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა კიეველმა ვ. ბრონშტეინმა ჩვენი გუნდის ყველა თამაში თვითონ იმსაჯა. ჩვენმა გოგოებმა პირველი სამი შეხვედრა კარგად ჩაატარეს და დამაჯერებელი გამარჯვებებიც მოიპოვეს მოსკოვის (29:24), სომხეთის (31:12) და აზახეთის (26:12) გუნდებთან. ეტყობა, ვიღაცას ხელს არ აძლევდა ჩვენი გამარჯვება და... აზერბაიჯანის გუნდთან შეხვედრა სამჯერ შეჩერდა, იმდენად არაობიექტური იყო მსაჯობა. მეორე ტაიმში 14 წუთის მანძილზე ჩვენი გუნდი არასრული შემადგენლობით ასპარეზობდა, 14 გატანილი ბურთიდან აზერბაიჯანელებმა 6 შვიდმეტრიანი საჯარიმო სროლებით გაიტანეს. მართლაც, იმდენად არაობიექტური იყო მსაჯობა, მოსკოველებმაც ვერ დამალეს აღშფოთება, მსაჯს ესეც კი უთხრეს „ეს რა უნამუსობა ხდებაო", მაგრამ... დავმარცხდით — 13:14.

ვოლგოგრადისა და ჩვენი გუნდის შეხვედრაც წინასწარი სცენარით ვითარდებოდა, სამწუხაროდ, ეს თამაშიც მინმალური ანგარიშით დავთმეთ — 19:20. ჩვენ საბოლოოდ მესამე ადგილი დავიკავეთ, თუმცა ტურნირის შედეგებში ჯერჯერობით ბევრი რამ არის გასარკვევი, რადგან ზოგიერთ გუნდს თურმე გადაზრდილი მოთამაშეები გძმოუყვანია. ასეთ პირველობაში მართლაც არ ღირს მონაწილეობა, მომავალში ამ გაკვეთილს გავითვალისწინებთ.

ბია ხუციშვილი.

როგორ დააკლდა ჩვენს ფეხბურთს...

ანდრო ჟორდანიას დაბადებიდან 85 წლისთავის გამო

ქვეყანას ჟორდანიას გვარით მოევლინა. განგებამ ისურვა ისე, რომ ბატონ ანდროსგან ჯერ ბრწყინვალე ფეხბურთელი, მერე კი შეუდარებელი მწვრთნელი გამოსულიყო. დღეს მისი სახელი საქართველოში ფეხბურთის სინონიმად იქცა. ფეხბურთი და ჟორდანია ერთად დავაქაცდნენ. ერთად იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს.

„ჟორდანიობამ“ დიდად შეუშალა ხელი ფეხბურთის ამ დიდებულ სპეციალისტს. სანამ თვითონ თამაშობდა, კიდევ არაფერი, მაგრამ შემდეგ, როდესაც მშობლიურ „დინამოს“ (მას ყველაზე მეტად შეეძლო ეხმარა სიტყვა „მშობლიური“!) სათავეში ჩაუდგა როგორც მწვრთნელი, ერთთავად ცირკის ბაგირზე მოარულ მუშაითს დაემსგავსა. მხოლოდ, წარმოიდგინეთ, უკუგაგებით — იქ საბედისწერო ნაბიჯია, ასე ვთქვათ, საბედისწერო, აქ კი: გამოისახებოდა თუ არა თბილისის „დინამოსთვის“ რაიმე მედლების „კონტურები“... ანდრო ჟორდანიას მაშინვე ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან. „ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრის“ მოგვარემ და ახლო ნათესავმა არ ააღებინოსო ჩვენს გუნდს ჩემპიონობა. ეს ხომ, მეტი რომ არა, თავის მოჭრა იქნებაო პროლეტარული სპორტსაზოგადოების გუნდისთვის!..

და გარბოდა გულნატკენი, ხელმძღვანელთაგან გარიყული ანდრო, თავისი ცნობილი მოგვარისა არ იყოს, უმადური ქართული მიწიდან. გარბოდა რუსეთში, ივანოვოში, სადაც 1933 წლიდან თამაშობდა მთელი შვიდი სეზონი. და. ასე გასაჯეთ, მერე კი იმავე ივანოვოში „ოსნოვასა“ და „კრასნოე ზნამიას“ გუნდებს ავარჯიშებდა — ომამდე და ომის შემდგომ, მთელი რვა წელიწადი შუალედებით... სანამ გაუირვებისას კვლავ „დინამოში“ არ დაუძახებდნენ — არიქა, გვიშველეო! ბარე სამჯერ დააბრუნეს უსაფუძვლოდ ლტოლვილი ჩვენს გუნდში, სადაც მან სულ შვიდი სეზონი იმუშავა, ესე იგი, ნაკლები, ვიდრე შორეულ ივანოვოში. მაინც მოახერხა ამ დროის განმავლობაში სამჯერ ექცია დინამოელები ქვეყნის პრიზიორებად, ხოლო ერთხელ — 1960 წლის სუხიან მოსკოვურ საღამოს — კიანღამ ბროლის თასი წამოიღო პირველად ჩვენი გუნდის ისტორიაში. მაგრამ ვინ გამოგვატანა!...

ის, რომ თბილისის „დინამომ“ ბოლოს და ბოლოს მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა, სწორედ ბატონ ანდროს ბიჭების — მახეილ მესხის, სერგო კოტრიკაძის, შოთა იამანიძის, ვლადიმერ ბარქაიას, გიორგი სიჭინავასა და სხვათა „ნახელავი“ იყო.

„არ უყვარდა ადამიანები, ჟურნალისტები, კაცთმოძულე იყოო“...

ტყუილია! ასეთი გულისხმიერი, კეთილი, იუმორით აღსავსე კაცი ჩვენს ფეხბურთში ცოტა ვინმე თუ შეგვხვედრია. მას სწორედ რომ არაკაცები სძულდა, მსტოვრებსა და მლიქვნელებს ვერ იტანდა, გაურბოდა მათთან ყოველგვარ კონტაქტს. როგორც წესი, კარს არ უღებდა (ფანჯრიდან, ფარდის იქიდან იხედებოდა მალულად), არც ტელეფონით სურდა საუბარი.

მახსოვს, ერთხელ დამჭირდა მისი ბიოგრაფიული ცნობების დაზუსტება წიგნისათვის „ყველაფერი ფეხბურთზე“ (იგი მოსკოვში გამოვიდა 1972 წელს). დავურეკეყურმილი კარგა ხნის შემდეგ აიღო. „ბატონი ანდრო მინდა-მეთქი“... „სახლში არ არისო!“ — მიპასუხა ნაცნობმა ხმამ, „დასანანია — ვუთხარი. — მინდოდა რაღაც დეტალების დაზუსტება ფეხბურთის წიგნისათვის“. პაუზა. მერე ეშმაკობას მივმართავ: „აი, წინ ტექსტი მიდევს და, ჩემი აზრით, შეცდომებია აქ“. „რა ტექსტია, რა შეცდომები, წამიკითხეთ!“

გზადაგზა, მართლაც, „ჩამისწორა“ უზუსტობანი, დაუმატა კიდეც რაღაც. ბოლოს მითხრა, თუ რამე დაგჭირდეთ, ისევ დარეკეთ მოურიდებლადო.

ამას წინათ მიხეილ მესხს „დიავოლაზე“ შევეკითხე: ასეთი მწვრთნელი ქართულ ფეხბურთში არ ყოფილაო, ღმერთმა ქნას, ოდესმე კიდევ ერთი ანდრო ჟორდანია მოევლინოსო ჩვენს „დინამოს“. მწვრთნელი კი არ იყო მხოლოდ დიდებული, მამა გახლდათ ჩვენი, ყველასი, პირადად მე მისგან ბევრი რამ ვისწავლე სასიკეთო და, რაც მთავარია, ადამიანობა, გულკეთილობა, მოყვასის სიყვარული...

არ იყო ტრიბუნი, არ უყვარდა საერთოდ გამოსვლა არც უშუალოდ და არც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან. სეზონის დასაწყისში მეტწილად „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“ გამოჩნდებოდა ხოლმე პატივცემული ანდროს პატარა საპასპორტო ფოტოსურათი



ანდრო ჟორდანია.

ასეთივე „მიკროტექსტით“. რომელშიც მარტივ, მშრალ სტატიებს ვკითხულობდით: „ვემზადებოდით ლესელიძეში, გუნდში მივიღეთ ესა და ეს. პირველი მატჩი ხვალ გვაქვს, ვეცდებით კარგად ვითამაშოთ“. სხვათა შორის, არც სეზონის დამთავრებისას იკლავდა თავს ბატონი ანდრო, არიქა, ჩემი წერილი დაბეჭდეთო ან ინტერვიუ აიღეთ ჩემგანო. საქმეს აკეთებდა ჩუმად, ყოველგვარი ზარ-ზეიმისა და თავის გამოჩენის გარეშე. ერთი იუბილეც კი არ გადაუხდიათ მისთვის. უჩუმრად წავიდა, როდესაც 70 წელი უსრულდებოდა. დარჩა კეთილი სახელი და... თეთრი ქვისაგან გათლილი აბრა ბიბრომში, დინამოელთა „საწვრთნელ-ბაზაზე“ — ამიერიდან სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ანდრო ჟორდანიას სახელს რომ ატარებს. და კიდევ ერთი: „ლელოს“ ბიბლიოთეკის სერიით 1976 წელს „საბჭოთა საქართველოში“ 30-ათასიანი ტირაჟით გამოცემული მისი წიგნი „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“, რომლის ლიტერატურული ჩანაწერი ეკუთვნის მწერალ რომან მიმინოშვილს. მახსოვს, სამოციანი წლების მიწურულს ამ წიგნის ხელნაწერი მალულად გადმომცა ოტია ჟორდანიამ, თან დასძინა, არავინ გინახოსო, შიგ ისეთი „რამეები“ წერია, ვიცი ბევრს არ მოეწონებაო. არც მოსწონდათ და აკი არც უბეჭდავდნენ. ბოლოს მაინც გამოვიდა... შვიდი წლის ლოდინის შემდეგ.

...ძალზე თავმდაბალი იყო, არ უყვარდა პარადები და ზარ-ზეიმები. მთავარი მისთვის საქართველოს კეთილდღეობა. გახლდათ, მშობლიური „დინამოს“ - გამარჯვება ყველგან და მუდამ.

„დიავოლ! — იტყოდა ხოლმე ხშირად — ამისგან კარგი ფეხბურთელი დადგება!“. და არც ცდებოდა. მართლაც რომ, კოჭებში ატყობდა მომავალ დიდოსტატს. დღეს ბატონ ანდროს, ალბათ, საუკეთესო სელექციონერს შეარქმევდნენ და, ეჭვგარეშეა... ივანოვოში აღარ გაუშვებდნენ. არადა, როგორ სჭირდება დღეს ჩვენს ფეხბურთს ასეთი სპეციალისტი, როგორ დააკლდა იგი ამ პოპულარულ თამაშს...

ოთარ ნოზაძე.

ცნობები უცხოეთის ქვეყნებიდან

საუკეთესო მწვრთნელები

ამას წინათ მოპოვებული გამარჯვებების მიხედვით, შეფასდა მსოფლიოს წამყვან ნაკრებთა მწვრთნელების მუშაობა. აი მათი „რანგ-ლისტი“: 1. ლობრეტსი (ბელგია), 2. ვიჩინი (იტალია), 3. ლაზარონი (ბრაზილია), 4. სუარესი (ესპანეთი), 5. ლობანოვსკი (საბჭოთა კავშირი), 6. რობსონი (ინგლისი), 7. ბეკენბაუერი (გფრ), 8. პიონტეკი (დანია), 9. პლატინი (საფრანგეთი), 10. ბილარდო (არგენტინა).

თუმცა ლიცენზია არა აქვს...

ბელგიის ნაკრების გამოჩენილი მეკარე ჟან-მარი პფაფი, რომელმაც სულ ახლახან, 36 წლის ასაკში შეწყვიტა თამაში (უკანასკნელად თურქეთის „ტრაბზონსპორში“ გამოიოდა), მალე სათავეში ჩაუდგება ლუქსემბურგის ნაკრებს, თუმცა მწვრთნელის ლიცენზია ჯერ არა აქვს.

უცხოელებს მოიწვევენ

როგორც გდრ-ის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ამიერიდან ამ ქვეყნის პირველი ლიგის კლუბები მოიწვევენ საზღვარგარეთელ ფეხბურთელებს. ჟურნალ „ფუ-ვოს“ ცნობით, გდრ-ში თამაშის სურვილი განაცხადა რამდენიმე საბჭოთა, პოლონელმა, ჩეხოსლოვაკელმა და უნგრელმა ოსტატმა.

მოითხოვენ ნიგერიელების დასჯას

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ ოფიციალური წერილით მიმართა ფიფა-ს, სადაც პროტესტს აცხადებს მის გადაწყვეტილებაზე ნიგერიაში მოაწყოს ჭაბუკთა (21 წლამდე) 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. აფრიკული კონფედერაცია ფიფა-ს ყურადღებას ამახვილებს იმ ამბავზე, რომ ნიგერიელებს დაუდასტურდათ ჭაბუკთა ეროვნულ ნაკრებში გადაზრდილი მოთამაშეების მონაწილეობა.

ძალიან იკლებს...

...მაყურებელთა რაოდენობა იტალიის პირველი ლიგის მატჩებზე. აი, სტატისტიკური მონაცემებიც: 1984-1985 წლების სეზონში მატჩებს საშუალოდ 38.871 მაყურებელი დაესწრო, 1985-86 წ. — 35.871, 1986-87 წ. — 33.086, 1987-88 წ. — 30.621, 1988-89 წ. — 29.825, 1989-90 წ. (პირველი წრის გათვალისწინებით) — 27.046 მაყურებელი.

ტელევიზია და ფეხბურთი

ყველაზე მეტად ფეხბურთის გულშემატკივრებს იტალიის ტელევიზია ანებივრებს. იგი წლიურად ფეხბურთს, სხვადასხვა პროგრამებით, 1500 საათს უთმობს. მეორე ადგილზეა ბრაზილიის ტელევიზია — 1000 საათი წელიწადში, შემდეგ მოდიან გფრ — 416 საათი, ესპანეთი — 280, არგენტინა — 270, აშშ — 240, საფრანგეთი, ურუგვაი — 180-180 და ა. შ.

ისტორიაში ყველაზე მეტი

როგორც ფეხბურთის სტატისტიკოსებმა დაადგინეს, ყველაზე მეტი ტელემაყურებელი ფეხბურთის ისტორიაში ჩემპიონთა თასის შარშანდელ ფინალურ მატჩს — „მილანსა“ და ბუქარესტის „სტიაუას“ შორის ჰყავდა — 19673000.

„უემბლის“ იშვიათი რეკორდი

ინგლისის ნაკრებს, რომელიც სისტემატურად თამაშობს ლონდონის „უემბლიზე“, ამ სტადიონზე თავის კარში არ მიუღია არც ერთი გოლი 1988 წლის მაისიდან 1989 წლის დეკემბრამდე, მანამდე, სანამ იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელმა შკორომ ბოლოს და ბოლოს არ შეარხია მასპინძელთა კარის ბადე, რომელსაც განთქმული შილტონი იცავდა.

• • •

● **მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონი, ურუგვაის ნაკრები ინტენსიურად ემზადება იტალიის ორთაბრძოლებისათვის. ამ დღეებში შეიცვალა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც. ახლა ურუგვაის ფედერაციის პრეზიდენტია ზულეო სეზარ მალონე.

● **1966 წლის** მსოფლიო ჩემპიონის, ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ალან ბოლი ისე ვერ ბრწყინავს მენეჯერის პოსტზე, როგორც მინდორზე გამოსვლების დროს. ბოლო წლებში იგი მუდმივად იცვლიდა გუნდებს. ახალი წლიდან კი II დივიზიონის კლუბ „სტოკ სიტიში“ მიიწვიეს.

● **ბასკურ** კლუბებს არასდროს არ მოუწვევიათ უცხოელი მოთამაშეები, პირველმა ტრადიცია „ოსასუნამ“ დაარღვია, წელს კი მას მიბაძა „რეალ სოსიედადმაც“, როცა „ლივერპულიდან“ ირლანდიელი ოლდრიჯი იყიდა. მაყურებელთა თავდაპირველი აღშფოთება, მოგვიანებით სიმპათიით შეიცვალა. ახლა ჯონ ოლდრიჯი კლუბის ბომბარდირი და გულშემატკივართა კერპია. ამიტომაც გუნდმა უფრო თამამად დაიწყო მოლაპარაკება კიდევ ერთ ბრიტანელთან. ეს გახლავთ „ნოტინგემის“ ნახევარმცველი ფრანკ კარი.

● **ჩეხოსლოვაკიის** ნაკრების თავდამსხმელი გრიგა („სპარტა“, პრაღა) ახალი საფეხბურთო სეზონიდან უცხოეთში ითამაშებს. მან უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს ბელგიის „მეპელენთან“, მაგრამ შესაძლოა დროებით ჰოლანდიის „ფეიენორდში“ ითამაშოს.

● **თავისი** მდიდარი საფეხბურთო ცხოვრების დასრულების შემდეგ, ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო დაჯილდოვდა კიდევ ერთი პრიზით. ესაა „ბოლა დე პრატა“, პრიზი, რომელსაც ადგილობრივი ჟურნალი „პლაკარი“ გადასცემს ქვეყნის სახელგანთქმულ მოთამაშეებს.

● **1982 წლის** მსოფლიო პირველობის მონაწილე, ბრაზილიელი ლეანდრო, რომელიც ახლა „ფლამენგოში“ თამაშობს, საავტომობილო კატასტროფაში მოყვა და სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. გაკილებით უფრო მძიმე შედეგით დამთავრდა იმავე დღეს მეორე საგზაო შემთხვევა. ქვეყნის პირველობაში მონაწილე კლუბ „ეარდიმ ელდორადოს“ ავტობუსი გზიდან გადავარდა. დაიღუპა 9 კაცი.

● **ინგლისურმა** კლუბებმა დაიწყეს მწვრთნელების გათავისუფლება. მათში პირველი აღმოჩნდა „ლუთონ თაუნის“ მენეჯერი ჰართფორდი, რომელსაც მიჰყვა „პორთსმუტის“ მენეჯერი გრეგორი.

(სპპ. ინფ.)

იუმორი მისთვის უცხო არ იყო...

ამას წინათ საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ოტია ჟორდანიამ და სპორტის ოსტატმა მიხეილ ჯოჯუამ ბევრი რამ საგულისხმო გაიხსენეს ბატონ ანდრო ჟორდანიას შესახებ. ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველს დაინტერესებს იუმორისტული ფრაგმენტები ანდრო ჟორდანიას „მონაწილეობით“.

ოტია ჟორდანია: ავტომანქანა „პობედა“ შევიძინე. იმავე დღეს ქუჩაში მომავალი ანდრო შემომხვდა — სახლში წაგიყვან-მეთქი. გაკვირვებით შემომხედა და მითხრა: „დიავოლ! ვისია ეს მანქანა?“... ჩემი-თქო — ვუპასუხე, „კი, მაგრამ, ჩვენი წინაპარი მთავრობის თავმჯდომარე გახლდათ და ეტლი ემსახურებოდა, შენ ვინ ხარ ასეთი, რომ ავტომანქანით დადიხარ?!“, მერე კი „სერიოზულად“ განაგრძო — „გმადლობთ, მაგრამ სახლში მეჩქარება!..“, „ჰოდა, ამიტომაც გეპატიჟებით მანქანაში“... „კი, მაგრამ მანქანის მობრუნება მხოლოდ ლენინის მოედანზე შეგიძლია და სანამ იქ გახვალ, მე უკვე სახლში ვიქნები“...

მიხეილ ჯოჯუა: „რევაზ ლალიძე, არჩილ კერესელიძე, არჩილ ჩხარტიშვილი, ნოდარ ჭჩხეიძე, ავბელი და... თეთრი ქვისაგან გათლილი აბრა ბიბრომში, დინამოელთა „საწვრთნელ-ბაზაზე“ — ამიერიდან სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ანდრო ჟორდანიას სახელს რომ ატარებს. და კიდევ ერთი: „ლელოს“ ბიბლიოთეკის სერიით 1976 წელს „საბჭოთა საქართველოში“ 30-ათასიანი ტირაჟით გამოცემული მისი წიგნი „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“, რომლის ლიტერატურული ჩანაწერი ეკუთვნის მწერალ რომან მიმინოშვილს. მახსოვს, სამოციანი წლების მიწურულს ამ წიგნის ხელნაწერი მალულად გადმომცა ოტია ჟორდანიამ, თან დასძინა, არავინ გინახოსო, შიგ ისეთი „რამეები“ წერია, ვიცი ბევრს არ მოეწონებაო. არც მოსწონდათ და აკი არც უბეჭდავდნენ. ბოლოს მაინც გამოვიდა... შვიდი წლის ლოდინის შემდეგ.

...ძალზე თავმდაბალი იყო, არ უყვარდა პარადები და ზარ-ზეიმები. მთავარი მისთვის საქართველოს კეთილდღეობა. გახლდათ, მშობლიური „დინამოს“ - გამარჯვება ყველგან და მუდამ.

„დიავოლ! — იტყოდა ხოლმე ხშირად — ამისგან კარგი ფეხბურთელი დადგება!“. და არც ცდებოდა. მართლაც რომ, კოჭებში ატყობდა მომავალ დიდოსტატს. დღეს ბატონ ანდროს, ალბათ, საუკეთესო სელექციონერს შეარქმევდნენ და, ეჭვგარეშეა... ივანოვოში აღარ გაუშვებდნენ. არადა, როგორ სჭირდება დღეს ჩვენს ფეხბურთს ასეთი სპეციალისტი, როგორ დააკლდა იგი ამ პოპულარულ თამაშს...

ოთარ ნოზაძე.

მინიმალური სხვაობით

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

პანევეჟისი. ვილნიუსის „სტატიბამ“ ამ ქალაქში უმასპინძლა თბილისის „დინამოს“. მატჩი უაღრესად დაძაბული და მძაფრი გამოდგა. პირველი ნახევარი თბილისელმა კალათბურთელებმა მოიგეს 3 ქულით — 44:41. ბრძოლა შესვენების შემდეგაც მწვავე იყო. გამარჯვება მინიმალური სხვაობით „სტატიბამ“ მოიპოვა — 86:85.

მინსკი. ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა პირველი შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკიონან“ წაიგეს 8 ანგარიშით 90:93 (47:55)

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 იანვრისთვის

ცსკა	25	21	4	46
ვეფ (რიგა)	26	15	11	41
„ბუდიველნიკი“ (კ.)	24	15	9	39
რტი (მინსკი)	27	11	16	38
ახკ (ალმა-ათა)	22	15	7	37
„დინამო“ (მოსკ.)	22	15	7	37
„ულგორისი“ (კაუნ.)	25	12	13	37
„კალევი“ (ტალ.)	23	13	10	36
„სპარტაკი“ (ლენ.)	26	10	16	36
„დინამო“ (თბ.)	24	9	15	33
„შახტიორი“ (დონ.)	22	7	15	29
„სტატიბა“ (ვილნ.)	25	3	22	28



მეორე გამარჯვება

გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების თახების მფლობელთა თახის გათამაშების ჯგუფური ტურნირები.

კაუნასი. ადგილობრივმა „უალგირისმა“ მესამე წრის შეხვედრა ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე იყო ბელგიის კლუბი „სუნერი“. მატჩი მოიგეს ლიტველმა კალათბურთელებმა — 101:82 (49:43). სამი შეხვედრის შემდეგ „უალგირისს“ ორი გამარჯვება აქვს.

ლიტველთა გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო დარიუს ლუკმინუასი — 22 ქულა. „სუნერში“ საუკეთესო სნაიპერული თვისებები გამოამჟღავნა ჰენრი ჯეიმსი — 36 ქულა.

კვლავ დანაკლისი

მელბურნი. ავსტრალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში დაიწყო მეორე წრის შეხვედრები, აი, ზოგიერთი მონაწილე კი მხოლოდ გუშინ გამოვიდა სტარტზე. მათ შორისაა ქალთა და ვაჟთა ტურნირების ფავორიტები, დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი და ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი.

შტეფი გრაფის პირველი მეტოქე იყო ამერიკელი ერიკა დე ლონი. ფავორიტს ამ ბრძოლაში პრობლემები არ ჰქონია — ორივე პარტია საგრძნობი უპირატესობით მოიგო — 6:1, 6:2.

ასევე ადვილად ჩაიწერა სატურნირო ცხრილში პირველი გამარჯვება ივან ლენდლმა. მან ესპანელი თომას კარბონელი დაამარცხა — 6:4, 6:2, 6:3.

საბჭოთა გუნდში კვლავ დანაკლისია, ბრძოლას გამოეთიშა კიდევ ორი მონაწილე. ალექსანდრე ვოლკოვი მეორე წრეში მძაფრი ბრძოლის შემდეგ დამარცხდა ფრანგ ჟან ფლერინთან — 4:6, 6:1, 5:7, 6:2, 2:6, ნატალია მედვედიევას კი პრაქტიკულად წინააღმდეგობა არ გაუწევია ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვასათვის — 2:6, 0:6.

მეორე წრის შეხვედრა მოიგო ანდრეი ჩერკასოვმა. ამერიკელი გლენ ლავენდეკერი მან ოთხ პარტიაში დაამარცხა — 6:4, 5:7, 7:5, 6:0.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

უბერებელი ჩოგბურთელი

ჯიმი კონორსი (აშშ), 38 წლის. მონაწილეობა მიიღო 107 ტურნირში, 263 დღე იყო ატპ-ს კლასიფიკაციაში № 1 ჩოგბურთელი. 1974, 1982 წლების უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული.

გთავაზობთ ინტერვიუს ცნობილ ჩოგბურთელთან, რომელიც მას ჩამოართვა „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ კორესპონდენტმა.

● 70-იანი წლების დასაწყისში იმედის მომცემი ჩოგბურთელი იყავით, შემდგომში გახდით მაყურებელთა კერპი, ტაშს გიკრავენ, მაშინაც კი, როცა აგებთ...

— უმეტესობა, ვინც ტაშს მიკრავს, ჩემი ასაკისაა. მენეჯერები, საქმოსნები და ყველა, ვინც იცის თუ რა ფასად მიჯდება დიდხანს წარმატებით გამოსვლა, ისინი აფასებენ გამარჯვებისაკენ ჩემს სწრაფვას. ბრძოლისუნარიანობას (20 წლის მოთამაშეებთან). მსოფლიოში დღეს ცოტაა მოთამაშე, ვინც ასეთი სტილით თამაშის წყალობით „ავსებს“ დარბაზებს. ასეთია: მაკინროუ, ბეკერი, ნოა და მე.

● რეალურია თქვენს ახაკში „დიდი მუზარადის“ ტურნირის მოგება?

— ილუზიებისა და დიდი გამარჯვებების ურწმენოდ კორტზე გამოსვლას ვერ შევძლებდი. ვფიქრობ, რომ არაფერი დაშავდება თუკი მნიშვნელოვან ტურნირს ვეღარ მოვიგებ. ჩემს ცხოვრებაში საკმარისად მქონდა ბედნიერი წუთები.

● თეორიულად ბევრი დღევანდელი მოთამაშის მამა შეიძლებოდა ყოფილიყავით. არ გწყინთ მათთან დამარცხება?

— არა, უკვე აღარ. უარესია, როცა გამოცდილ, შენი თაობის ჩოგბურთელთან მარცხდები.

● მაგალითად, მაკინროუსთან?

— თუნდაც. ის დრო, როცა დამარცხება დიდ სულიერ ტრამვას მაყენებდა, წარსულს ჩაბარდა. ახლა მხოლოდ გამარჯვებისთვის როდი ვთამაშობ. ყოველ შემთხვევაში წარმატების მისაღწევად ყველა შესაძლებელ და შეუძლებელ ხერხს აღარ ვხმარობ. დეპრესია ახალგაზრდებს უფრო ახასიათებთ.

● რა გრძნობა ეუფლება ჩოგბურთელს, როცა ხვდება, რომ მისი თამაშის კლასი ქვეითდება?

— როგორ გითხრათ?! მოთამაშე ამ საკითხს ფილოსოფიურად უნდა მიუდგეს. შენ ზოგჯერ უკეთესი ხარ, ზოგჯერ უფრო სუსტი. ყოველ შემთხვევაში, როცა წაგებული მატჩის შემდეგ კორტზე ჩემი ვაჟი ბრეტი გამორბის და მიყვირის: „მამა, შენ მაინც ყველაზე ძლიერი ხარ!“ მსოფლიოში უბედნიერეს მამად ვგრძნობ თავს.

● საჩოგბურთო ტალანტის გარდა კიდევ რისი მონაცემები გქონდათ?

— ვინ ამბობს, რომ მე ჩოგბურთში ტალანტი ვარ? რასაც სპორტში მივაღწიე, ეს იყო უდიდესი შრომის წყალობით. აი, ილიე ნასტასე კი ნამდვილად ტალანტი გახლდათ, ხოლო ჯონ მაკინროუ ჩოგბურთის „გენიოსია“. არ გეგონოთ, რომ მოქმედი ჩოგბურთელებიდან, მხოლოდ მაკინროუა ჩემი სათაყვანებელი სპორტსმენი. ესეთივე აზრის ვარ მსოფლიოში მართლაც რომ შეუდარებელ ჩოგბურთელზე ივან ლენდლზე.

● ბევრი ხსვადასხვა ტრავმა გადაიტანეთ — ზურგის, ფეხის... თვითონ ამბობთ, რომ ნახევრად ინვალიდი ხართ. მიუხედავად ამისა, საკუთარ ჯანმრთელობას კვლავაც ჩოგბურთს წირავთ, რატომ?

— არ მჯერა, რომ ჩოგბურთი გაუარესებს ჩემს ფიზიკურ მდგომარეობას. მართალია, საკუთარ სხეულს არაერთი უსიამოვნება მივაყენე, მაგრამ ეს თამაშის საზღაურია, არა მგონია, ინვალიდის სავალებელ მელოდეს წინ. თანაც ტრავმების თავიდან ასაცილებლად ყველანაირ ზომებს მივმართავ.

ჯიმი კონორსი.

● მაგალითად?

— მივმართავ ფიზიკური კონდიციების გასამართავ ვარჯიშებს, მასაჟს და ტანვარჯიშს. თამაშებიდან თავისუფალ დროს ორკვირიან სავარჯიშო კურსებს ვიტარებ. გარდა ამისა, ბევრს ვცურავ და თავისუფალ დროს ვჯირითობ.

● როდის აპირებთ თქვენი ჩოგანის „ლურსმანზე“ ჩამოკიდებას?

— მხოლოდ სერიოზული ავადმყოფობის ან რომელიმე უბედური შემთხვევის შემდეგ თუ მოხდება ჩოგბურთთან განშორება. თორემ, ისე ვერანაირი ძალა ვერ ჩამომაშორებს მას. ჩოგბურთი ყოველდღე დაუღალავად შეიძლია ვითამაშო.

● თუ გაქვთ რაიმე ურთიერთობა თქვენს ძველ მოწინააღმდეგეებთან?

— გერულაიტისს შემთხვევით შევხვდი ფლორიდაში. ბორგს ვხედავ მხოლოდ მაშინ, როცა ერთად ვატარებთ საჩვენებელ მატჩებს. ასევე ვილასს. საერთოდ კი ძველ ამერიკელ ჩოგბურთელებთან მაქვს უფრო ხშირი კონტაქტი.

● ილიე ნასტასე თქვენი ახლო მეგობარია. როგორ დაახასიათებდით მას?

— ილიე ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც სულ კარგ ხასიათზეა. ყოველთვის მოხარული ვარ მისი ნახვით — კაცის, რომელიც თავისი დაუშრეტელი იუმორით უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ყველას.

● ახლა რას აკეთებს?

— დაქორწინდა. მე მისი პატარა შვილის ნათლია ვარ. ახლა არც ფუ ისე ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენს ოჯახებს მუდმივი კონტაქტი აქვთ.

● ამერიკაში ბოლო დროს აღარ არის მსოფლიოში უძლიერესი ჩოგბურთელი, 20-22 წლის თაობაში აგახის გარდა არ ჩანს მომავალი დიდი ჩოგბურთელი, როგორ შეიძლება ამ სიტუაციის გამოსწორება.

— მზა რეცეპტი არ არსებობს. ვფიქრობ, ამერიკის ჩოგბურთის კავშირი დროებით ძილს მიეცა. ფუნქციონერებმა ირწმუნეს, რომ მაკინროუ და მე მუდმივად ვითამაშებთ. მათ წარმოდგენა არა აქვთ საიდან გამოძებნონ ნიჭიერი ახალგაზრდები. ზოგს ფული არ ჰყოფნის, ზოგს მომზადების პროგრამა არ უვარგა. ჩვენმა სპეციალისტებმა მაგალითი უნდა აიღონ შვეიცარიის, გფრ-ის და ჩეხოსლოვაკიის მწვრთნელებისაგან. ამ ქვეყნებში სპეციალისტებს შემუშავებული აქვთ კარგად გააზრებული სამუშაო გეგმა. ძნელი არ უნდა იყოს, ისეთი სპონსორების გამოძებნა, ვინც თავის თავზე აიღებს ახალგაზრდების გაზრდის საქმეს. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს კავშირში არაა ის ხალხი შეკრებილი, ვინც ამას იმსახურებს.

● სტენ სმიტი? არც იხაა თავის ადგილზე?

— სმიტის შემთხვევაში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამ პრობლემებზე ზრუნვა 20 წლის წინ იყო საჭირო.

● ვინ უნდა ამოუდგეს მხარში დამწყებ ჩოგბურთელს, თუ არა მისი გამოცდილი კოლეგა?

— ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც დიდ ჩოგბურთში მოსვლიდან ორი წლის შემდეგ თავს მსოფლიო დონის ექსპერტად წარმოიდგენს. მე კი მთელი ჩემი ხანგრძლივი კარიერა დამჭირდა დღევანდელი დონის მისაღწევად. ბევრს ჭგონია, რომ მეორე დღესვე მილიონებს იშოვნის. ესაა უმთავრესი მიზეზი ამერიკული ჩოგბურთის კრიზისისა.

● კონკრეტულად რას იწუნებთ ამერიკის ჩოგბურთის ფედერაციის მუშაობაში?

— იგი უშვებს უამრავ კანონებს, დამხმარე ინსტრუქციას, მაგრამ არ ითვალისწინებს მოთამაშეთა აზრს და ინტერესებს, ვერ ითვალისწინებს ამა თუ იმ ჩოგბურთელის თავისებურებას.

მასალა მოამზადეს
ალექსანდრე ჯიბლაძემ და ბიძინა ბარათაშვილმა.

ირანის დაბრუნება

ირანში მუშაობა განაახლა კრივის ეროვნულმა ფედერაციამ. არა და, სპორტის ეს სახეობა იქ აკრძალული იყო, ვინაიდან არ ეთანხმებოდა ისლამური რელიგიის მორალურ კანონებს. „რევოლუციის“ ახალმა ლიდერმა აიათოლა ს. ა. ჰამენეიმ სანქცია მისცა ამ ორგანიზაციის არსებობას და ამით ძველ უფლებებში აღადგინა სამოყვარულო კრივი, ოღონდ ერთი პირობით: მოკრივეთა შეხვედრები უსათუოდ დამცველი მუზარადების გამოყენებით უნდა ჩატარდეს.

მომდინარე წლის თებერვალს, თეირანს ეწვევიან სხვადასხვა ქვეყნის მოყვარული მოკრივეები. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ისლამის რევოლუციის მეთერთმეტე წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში. გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ კრივის ეროვნული ფედერაცია შევიდა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციაში.

ახალი ოჯახი

ცნობილი ბულგარელი ჩოგბურთელი ქალი მანუელა მალეევა ცოლად გაყვა შვეიცარიის ჭაბუკთა გუნდის უფროს მწვრთნელს ფრანსუა ფრანჟერს. ახალმა ოჯახმა ცხოვრება შვეიცარიაში ამჯობინა, ამიტომ მალეევა ამიერიდან ამ ქვეყნის ღირსებას დაიცავს. თუმცა, იმისათვის, რომ ფედერაციის თასის გათამაშებაში მალეევა შვეიცარიის სახელით გამოვიდეს, სულ მცირე ორი წელი მაინც უნდა გავიდეს. ასეთია ამ ტურნირში მონაწილეობის პირობები.

22 წლის მალეევა, როგორც ცნობილია, სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი გახლავთ და ჩოგბურთის სამყაროში კარგი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობს.

მინისტრი უარზეა

ნორვეგიის კულტურისა და მეცნიერების მინისტრმა ელეონორა ბიაოტვეიტმა უარყო ბიჯეტი, რომელიც დასამტკიცებლად წარუდგინა მას 1994 წლის ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა. იგი კატეგორიულად არ დაეთანხმა თანხას, რომელსაც ორგანიზატორები ითხოვენ.

— ჩვენ ვერ გავუძლებთ ასეთ ხარჯებს, თქვა მინისტრმა, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება შევიკიროთ ასიგნებანი. როგორც ჩანს, ამ საკითხის გადასაწყვეტად უცხოეთიდან მოვიწვევთ კვალიფიციურ ექსპერტებს.

ლილეჰამერის ოლიმპიადის ღირებულება ეროვნული დებატის თემა გახდა.

მთელი ამალით

როგორც ინგლისის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, მსოფლიო ჩემპიონატზე ამ ქვეყნის ნაკრები გუნდი პოლიციის სპეციალური ჯგუფის თანხლებით ჩავა. ამ ჯგუფის მიზანია დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ხულიგნებს და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წესრიგის დამყარებას ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების თამაშების დროს.

პოლიციელთა ჯგუფი თავდაპირველად სარდინიის კუნძულს ეწვევა, მერე კი, თუ გუნდმა შემდგომი ბრძოლის უფლება მოიპოვა, მთელი ამალა აპენინის ნახევარკუნძულზე გაემგზავრება, ოღონდ დამატებით შევსებას მიიღებს.

„სპორტპროგნოზი“, მე-4 ტირაჟის პროგრამა (27-28 იანვარი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
1. ცსკა — „ტორპედო“ (იაროსლავლი)	27.I	80	10	10
2. „სოკოლი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	27.I	20	50	30
3. „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი)	27.I	10	10	80
4. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (რიგა)	28.I	30	60	10
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
5. „ვერონა“ (ვერონა) — „ასკოლი“ (ასკოლი)	28.I	30	60	10
6. „კრემონეზე“ (კრემონა) — „პალერმო“ (ბერგამო)	28.I	10	70	20
7. „რომა“ (რომი) — „ბარი“ (ბარი)	28.I	70	20	10
8. „ბოლონია“ (ბოლონია) — „ჩეზენა“ (ჩეზენა)	28.I	70	20	10
9. „მილანი“ (მილანი) — „გენუა“ (გენუა)	28.I	70	20	10
10. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „ინტერი“ (მილანი)	28.I	10	70	20
11. „ლეჩე“ (ლეჩე) — „ლაციო“ (რომი)	28.I	10	60	30
12. „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	28.I	30	40	30
13. „ბამბადორია“ (გენუა) — „უდინეზე“ (უდინე)	28.I	60	30	10

26, 27 და 28 იანვარს თბილისის სპორტის სახახლეში ტარდება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

მონაწილეობენ: გდრ-ის, ბულგარეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, მონღოლეთის, აშშ-ის თურქეთის, კანადის, ირანის, გფრ-ის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს გუნდები.

დასაწყისი 11 და 18 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-56,
„შერანი“ — 98-97-26, „ბარიკადი“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: სოშარიულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709